

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა საშემსრულებლო ხელოვნება

სპეციალობები:

სოლო ფორტეპიანო, კამერული ანსამბლი, საკონცერტმაისტერო დაოსტატება, საორკესტრო საკრავები, აკადემიური სიმღერა, აკადემიური გუნდის დირიჟორობა.

პროგრამის ხელმძღვანელები:

სოლო ფორტეპიანოს, კამერული ანსამბლის, საკონცერტმაისტერო დაოსტატების სპეციალობით - პროფესორი მანანა დოიჯაშვილი;

საორკესტრო საკრავების სპეციალობით - პროფესორი შავლეგ შილაკაძე;

აკადემიური სიმღერის სპეციალობით - ასოცირებული პროფესორი სვეტლანა ეგოროვა;

აკადემიური გუნდის დირიჟორობის სპეციალობით - ასოცირებული პროფესორი შალვა მოსიძე.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამუსიკო ხელოვნების დოქტორი

პროგრამის მოცულობა: 180 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

საშემსრულებლო ხელოვნების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სოლო ფორტეპიანოს, კამერული ანსამბლის, საკონცერტმაისტერო დაოსტატების, აკადემიური სიმღერის, საორკესტრო საკრავების, აკადემიური გუნდის დირიჟორობის სპეციალობით მოამზადოს **სამუსიკო ხელოვნების დოქტორის** აკადემიური ხარისხის მქონე უმაღლესი დონის პრაქტიკული და თეორიული ცოდნით აღჭურვილი სოლისტი/ანსამბლისტი, პროფესიონალი-შემსრულებელი, აკადემიური საგუნდო კოლექტივის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი.

სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს უმაღლესი სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის მაღალ კვალიფიციური აკადემიური პერსონალის და შემოქმედებით/საშემსრულებლო პრაქტიკაზე ორიენტირებული მაღალი კლასის მეცნიერ-მკვლევარის მომზადებას.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა ხელოვნებისა თუ კულტურის მიმართულებით იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც აუცილებლად მოეთხოვება დოქტორის აკადემიური ხარისხი: შემოქმედებით-პრაქტიკული პროფესიული საქმიანობა, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, დარგის თეორიული კვლევები, მენეჯმენტი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საშემსრულებლო ხელოვნების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვებიან მაგისტრატურის აკადემიური ხარისხის, უმაღლესი აკადემიური სამუსიკო განათლების მქონე პირები.

პროგრამაზე ჩაირიცხებიან პირები, რომლებმაც გაიარეს კონკურსი შემოქმედებით ტურში/ტურებში.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება

- კურსდამთავრებულს აქვს საშემსრულებლო ხელოვნების უახლეს მიღწევებზე დამყარებული ფართო, ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც სამუსიკო შემსრულებლობის სფეროში მოღვაწეობის საშუალებას იძლევა;
- აქვს სხვადასხვა ჟანრისა და სტილის მუსიკალური ნაწარმოებების საკონცერტო სოლო/საანსამბლო შესრულების მდიდარი გამოცდილება;
- აცნობიერებს განახლებულ ფარგლებში საშემსრულებლო ხელოვნების, როგორც დარგის, საერთო სტრუქტურასა და მის ურთიერთკავშირს ხელოვნების, მეცნიერების სხვადასხვა დარგებთან;
- აქვს საშემსრულებლო ხელოვნების ისტორიულ/თეორიული, ესთეტიკური, მეთოდურ-დიდაქტიკური, სამეცნიერო ინოვაციური კონცეფციების ღრმა ცოდნა, რომელსაც საშემსრულებლო საქმიანობისას იყენებს;
- აქვს საშემსრულებლო ხელოვნების შესაბამისი სპეციალობისთვის სპეციფიკური სამეცნიერო კვლევის ღრმა და სისტემური ცოდნა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე);
- იცნობს დარგის საგნების სწავლების ტრადიციულ და თანამედროვე მეთოდებს; მუსიკალური პედაგოგიკის ევოლუციის ძირითად ეტაპებს; ქართული სამუსიკო განათლების ტრადიციებს; მუსიკალური განათლებისა და პედაგოგიკის დარგის საქმისწარმოების საფუძვლებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული საშემსრულებლო ხელოვნების სრულყოფის შედეგად შექმნის ნებისმიერი სტილისა და ჟანრის ნაწარმოების თვითმყოფად და ორიგინალურ ინტერპრეტაციას;
- კურსდამთავრებულს აქვს შემოქმედებითი მოღვაწეობის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი, რაც ასახვას ჰპოვებს საკვალიფიკაციო ნაშრომში - დოქტორანტის მიერ მომზადებული პროგრამის საკონცერტო შესრულებაში;
- აკადემიური გუნდის დირიჟორი დაეუფლება საგუნდო კოლექტივის ერთიანი შემოქმედებითი პროცესის წარმართვას, რაც ასახვას ჰპოვებს საკვალიფიკაციო ნაშრომში - დოქტორანტის მიერ მომზადებული პროგრამის საკონცერტო შესრულებაში;
- შეიძენს დამოუკიდებელი საშემსრულებლო საქმიანობის დაგეგმვის და წარმართვის უნარს, როგორც სასწავლო, ისე საკონცერტო დაწესებულებებში;
- შეიძენს დამოუკიდებელი საშემსრულებლო საქმიანობის დაგეგმვის და წარმართვის უნარს, როგორც სასწავლო, ისე საკონცერტო დაწესებულებებში;
- შეიძენს უმაღლეს საგანმანათლებლო სამუსიკო დაწესებულებაში პედაგოგიური მოღვაწეობის პრაქტიკული გამოცდილება;
- შეიძენს ახალი სასწავლო კურსების დამუშავების და განხორციელების უნარს;
- დაეუფლება კვლევის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს;
- ჩაატარებს ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული საშემსრულებლო-შემოქმედებითი, ან მეთოდური ხასიათის კვლევას, რაც რეალიზაციას ჰპოვებს დასრულებულ გამოკვლევაში – სადისერტაციო ნაშრომში;
- დაიცავს საკვალიფიკაციო სადისერტაციო ნაშრომს.

დასკვნის უნარი

- გააჩნია ნაწარმოებების სხვადასხვა რედაქციისა და საშემსრულებლო ინტერპრეტაციის ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე ინდივიდუალური, თვითმყოფადი კონცეფციის შექმნის უნარი;
- აქვს შემოქმედებითი/მეთოდოლოგიური/სამეცნიერო პრობლემების, რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზის, შეფასების უნარი;
- შეუძლია საშემსრულებლო ხელოვნების შესაბამისი სპეციალობის უახლეს მონაცემებზე და კონცეფციებზე დაყრდნობით მიღებული ინფორმაციის სინთეზი და და სინთეზის შედეგების სტუდენტებისათვის პროფესიული მიწოდება;
- აქვს უნარი შემოქმედებითი, მეთოდოლოგიური ხასიათის პრობლემების გადაჭრისათვის დამოუკიდებლად მიიღოს სწორი და დამაჯერებელი გადაწყვეტილება და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი რესურსები.

კომუნიკაციის უნარი

- საშემსრულებლო ხელოვნების სფეროში უპირატეს მედიალურ საკომუნიკაციო საშუალებას წარმოადგენს თვით ხელოვნების ენა, მსმენელთან დამყარებული ემოციური უკუკავშირი მუსიკალური ნაწარმოების საკონცერტო შესრულების დროს;
- კურსდამთავრებულს აქვს მსმენელთა ფართო აუდიტორიასთან, სტუდენტებთან, სამეცნიერო საზოგადოებასთან, სოციალურ პარტნიორებთან (საკონცერტო ორგანიზაციებთან) კომუნიკაციის უნარი;
- აქვს მუსიკალურ-შემოქმედებით კოლექტივებში და საგანმანათლებლო დაწესებულებებში კოლეგიალური მუშაობის უნარი;
- ფლობს ქართული სამეცნიერო ენის თავისებურებებს, შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებაში დამაჯერებელი, დამოუკიდებელი და კომპეტენტური კომუნიკაცია ქართულ ენაზე; იცნობს ქართული ენის კომუნიკაციურ, ინფორმაციულ და ფსიქოლოგიურ ასპექტებს;
- იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, მათ შორის საშემსრულებლო ხელოვნების სფეროში;
- საკომუნიკაციო დონეზე ფლობს ერთ უცხო ენას (გააჩნია უცხო ენაზე სამეცნიერო ტექსტების თარგმნის და შედგენის უნარი); შეუძლია სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე.

სწავლის უნარი

- აქვს სპეციფიკური სამუსიკო შემოქმედებითი უნარები და უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რომელსაც იყენებს შემოქმედებით საქმიანობაში და კვლევის პროცესში;
- აქვს საშემსრულებლო ხელოვნების რესურსების ფართო სპექტრის გამოყენების, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერების და სტრატეგიულად დაგეგმვის უნარი;
- აქვს უნარი თავად შეაფასოს და განახორციელოს საკუთარი სწავლის სტრატეგია, შეასრულოს სასწავლო პროცესის მოთხოვნები და გააუმჯობესოს მიღებული შედეგი;
- შეუძლია სხვების სწავლის პროცესის დაგეგმვა და მართვა.

ღირებულებები

- აქვს შემოქმედებითი და მაღალი მხატვრული ღირებულებანი, ზრუნავს მათ განვითარებაზე და შესწევს უნარი თავისი წვლილი შეტანოს ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში;
- კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობა და სათანადო ეთიკური ნორმები, ნებისმიერ სიტუაციაში იცავს ამ ნორმებს;
- აქვს საზოგადოებაში მიღებული მორალურ-ეთიკური და სამართლებრივი სოციალური ურთიერთობების ნორმების დაცვის უნარი;

- იჩენს პატივისცემას მუსიკალური მემკვიდრეობის და კულტურული ტრადიციების მიმართ, ტოლერანტობას სხვა მუსიკალურ კულტურათა მიმართ.

სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები

სადოქტორო პროგრამის განხორციელების აუცილებელი პირობაა შემოქმედებითი/პრაქტიკული და თეორიული სწავლების მეთოდების ორგანული ინტეგრაცია, სტუდენტის ინდივიდუალური შემოქმედებითი პოტენციალისა და უნარ-ჩვევების განვითარება საშემსრულებლო ხელოვნების დარგისა და შესაბამისი სპეციალობის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამაზე სწავლებისას სტუდენტის პროფესიული დაოსტატების ხელშეწყობის მიზნით უპირატესობა ენიჭება ინდივიდუალური მეცადინეობის მეთოდს.

სწავლების პროცესში გამოიყენება აგრეთვე შემდეგი ფორმები და მეთოდები:

- ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობები/სემინარები;
- სტუდიური - რეპეტიციული მეცადინეობები, მათ შორის შემოქმედებითი პროექტების (კონცერტები, კონკურსები, ფესტივალები) განსახორციელებლად;
- სწავლება პროფესიულ გარემოში (საკონცერტო დარბაზი);
- საშემსრულებლო ხელოვნების დარგის გამოჩენილ მოღვაწეთა პროფესიული მასტერკლასები;
- პრაქტიკულ/შემოქმედებითი დავალებების თეორიული ასპექტების შესწავლა;
- წიგნზე მუშაობის მეთოდი
- სხვადასხვა სახის შემოქმედებითი მიღწევების ანალიზი;
- პროფესიულ საკითხებზე დისკუსიებისა და დებატების იმიტირება - წარმართვა;
- შემოქმედებითი პროექტებით კონცერტებში, ფესტივალებსა და სხვადასხვა წარმოდგენებში მონაწილეობა;
- შემოქმედებითი/სამეცნიერო საქმიანობის განხორციელების მიზნით დოქტორანტის დამოუკიდებელი, აუდიტორიის გარეშე მუშაობა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასება სასწავლო კურსებში ხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონდებლობის შესაბამისად შემდეგი სქემით:

ქულები	ქულების ასოით აღნიშვნა	შეფასების აღნიშვნა
91 – 100	A	ფრიადი
81 – 90	B	ძალიან კარგი
71 – 80	C	კარგი
61 – 70	D	დამაკმაყოფილებელი
51 – 60	E	საკმარისი
41 – 50	FX	ვერ ჩააბარა
0 – 40	F	ჩაიჭრა

სადისერტაციო ნაშრომისა და დამაბოლოებელი საკონცერტო გამოსვლის შეფასება ხორციელდება შემდეგი სქემით:

- ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი.
- ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება.
- კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება.
- საშუალო (bene) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს.
- დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს.
- არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს.
- სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

სასწავლო გეგმა

№	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტები
1	სპეციალობის კლასი	120
2	საკვალიფიკაციო ნაშრომის მომზადება	20
3	საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვა	10
4	ალტერნატიული სპეციალური სასწავლო კურსები*	12
5	პედაგოგიკის ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები	10
6	აკადემიურ-პედაგოგიური პრაქტიკა (ასისტენტურა)	8
	სულ კრედიტები	180

დოქტორანტს უფლება აქვს გააკეთოს ინდივიდუალური განაცხადი ნებისმიერ სასწავლო კურსზე, რომელიც იკითხება კონსერვატორიაში ან კონსერვატორიის პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და შესაბამისობაშია დოქტორანტის საკვალიფიკაციო ნაშრომის თემატიკასთან.

*ალტერნატიული სასწავლო კურსების ხანგრძლივობა და მათი გავლის ვადები დგინდება დოქტორანტის ხელმძღვანელის რეკომენდაციების საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს კონსერვატორიის სადისერტაციო საბჭო.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსები:

სადოქტორო პროგრამის განსახორციელებლად კონსერვატორიას გააჩნია პრაქტიკული და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განხორციელებისათვის აუცილებელი, სანიტარული და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: სათანადოდ მომზადებული (მუსიკალური ინსტრუმენტები, კომპიუტერები, მერხები, დაფები, სადემონსტრაციო მოწყობილობა – აუდიო და ვიდეო ტექნიკა, ბგერითი იზოლაცია, ვენტილაცია, გათბობის სისტემა,) სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, საკონცერტო და სარეპეტიციო დარბაზები, საოპერო სტუდია. დოქტორანტი უზრუნველყოფილი იქნება ბიბლიოთეკების, ფონოთეკის მომსახურებით (ბიბლიოთეკის წიგნადი, სანოტო და აუდიო ფონდებით, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერით).

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

კონკურსის საფუძველზე მიღებული აკადემიური პერსონალი, მოწვეული მასწავლებლები/სპეციალისტები და დამხმარე პერსონალი.

პროგრამის გაუმჯობესების სტრატეგია

პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წამყვანი აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების და სტუდენტების გამოკითხვის შედეგად მიღებული შეფასებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით პროგრამა ექვემდებარება განახლებას, საჭიროების შემთხვევაში - მოდიფიცირებას.